სწავლება-სწავლის პროცესის შეფასების ანალიზი
(2018-2019 სასწავლო წელი)

ზოგადი მიმოხილვა (არაუმეტეს 500 ასო-ნიშანი)	კვლევის მიზანს წარმოადგენს 2018-2019 სასწავლო წელს ლექტორის საგანმანათლებლო საქმიანობისა და, ზოგადად, სწავლება-სწავლის პროცესის ანალიზი. მონაცემების მიღების მიზნით, შემუშავებულ იქნა გამოკითხვის ელექტრონული ფორმა (კითხვარი), რომელიც განთავსდა ნექსუსზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დაამუშავა სტატისტიკური მონაცემები, რის საფუძველზე დადგინდა, რომ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო როგორც საბაკალავრო, ასევე, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის 236-მა სტუდენტმა, რაც უნივერსიტეტის სტუდენტთა რაოდენობის 17%-ს შეადგენს. მათ შეაფასეს 209 ლექტორის საგანმანათლებლო საქმიანობისა და სწავლება-სწავლის პროცესი. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო როგორც თბილისის, ასევე, უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობის სტუდენტებმა.
დადებითი ტენდენციები (არაუმეტეს 500 ასო-ნიშანი)	დადებითი ტენდენციებიდან აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გამოკითხვა ჩატარდა ელექტრონული ფორმით, ნექსუსის მეშვეობით, რამაც ყველა სტუდენტს მისცა შესაძლებლობა სივრცისა და დროის ნებისმიერ მონაკვეთში დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია კითხვარში მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით. აგრეთვე, ადვილი გახდა სტატისტიკური მონაცემების მიღება საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, შემცირდა ინფორმაციის დამუშავებაზე დახარჯული დრო. დადებით ტენდენციად შეიძლება ჩაითვალოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის გაძლიერება მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით, რასაც ყველა პროგრამის სტუდენტები არაერთხელ აღნიშნავენ თავიანთ კომენტარებში. სტუდენტები დადებითად აფასებენ ადმინისტრაციული პერსონალის მხარდაჭერასა და თანადგომას სხვადასხვა საკითხებში, კომფორტულ სასწავლო გარემოს. აღსანიშნავია, რომ ელექტრონული ფორმით გამოიკითხვა ავტორიზაციის ექსპერტთა ერთ-ერთი რჩევაა.
ნეგატიური ტენდენციები (კონკრეტული მაგალითების ჩვენებით)	ნეგატიური ტენდენციებიდან კვლავ ყურადსაღებია ნექსუსზე სტუდენტთა შეფასებების დროული ასახვის პრობლემა. მიუხედავად არაერთი გაფრთხილებისა, დეკანატები/პროფესორები ვერ უზრუნველყოფენ მონაცემების დროულად ასახვას ელ. ბაზაში. სტუდენტები უარყოფითად აფასებენ პრაქტიკის ობიექტებზე/კლინიკაში მეცადინეობების სიმწირეს. სტუდენტთა უმეტესობა ითხოვს გამოცდების პროცესის გამკაცრებას, გადაწერის ფაქტების აღკვეთას. ბათუმის წარმომადგენლობის სტუდენტების შეფასებით ადგილი აქვს პედაგოგების მხრიდან მეცადინეობის გაცდენის ფაქტებს. აგრეთვე, მწირია ჟურნალისტიკისა და ტურიზმის პროგრამების ფარგლებში ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურა. უარყოფითია შეფასებები კაფეტერიის მომსახურების შესახებ. სტუდენტთა უმრავლესობა ნეგატიურად აფასებს სპორტული და სხვა გასართობი ღონისძიებების არარსებობას ბათუმის წარმომადგენლობაში.
დასკვნა (არაუმეტეს 200 ასო-ნიშანი)	გამოკითხვის შედეგებიდან ნათლად ჩანს, რომ პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციას და სასწავლო გარემოს სტუდენტები დადებითად აფასებენ, მაგრამ იკვეთება გარკვეული არადამაკმაყოფილებელი შეფასებები, რომლის გაუმჯობესების რეზერვი უნივერსიტეტს გააჩნია. კერძოდ, ბათუმის წარმომადგენლობაში სასწავლო რესურსის (სახელმძღვანელოები, კომპიუტერული და ასლგადამღები ტექნიკა) განახლება/დამატება; სკოლის დეკანატებისა და უშუალოდ, ლექტორთა გააქტიურება ნექსუსში შეფასებების დრეოულად შეტანის მიზნით, ასევე, შუალედური და დასკვნითი გამოცდების პროცესის გამკაცრება, წარჩინებული სტუდენტებისათვის წამახალისებელი აქტივობების დანერგვა.
რეკომენდაციები	➢ მიზანშეწონილია ჩატარდეს პროფესორ-მასწავლებელთა ტრენინგი ნექსუსის მოხმარებისა და კერძოდ, შეფასებების ასახვის შესახებ. ➢ სკოლის დეკანატებმა გააღრმავონ პარტნიორ დაწესებულებებთან ურთიერთობა პრაქტიკის განხორციელების მიზნით. ➢ აკადემიურმა სკოლებმა დანერგონ საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის გამოცდილება გამოცდებზე კურსდამთავრებულთა თავმდგმურებად მოწვევის შესახებ. ➢ შემუშავდეს და დაინერგოს მაღალრეიტინგული სტუდენტების წახალისების ფორმები.